სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

KA020327125200723

03 / მაისი / 2023 წ.

№ **45-ს**

„ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2016 წლის 19 აგვისტოს N62-ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 21 ნოემბრის № 1-1/642 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დებულების“ მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ვბრძანებ

1. „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2016 წლის 19 აგვისტოს N62-ს ბრძანების პირველი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში დაცული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ადმინისტრაციის იურიდიული სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ნინო ჯვარშეიშვილი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი, ხოლო ადმინისტრაციაში დაცული ფოტო და ვიდეო ასევე, ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული საპრომოციო მასალების ელექტრონული ვერსიების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბრენდის განვითარების სამმართველოს უფროსი ანა კეკელია ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.“

2. სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2016 წლის 19 აგვისტოს N62-ს ბრძანებით განსაზღვრული სხვა პირობები რჩება უცვლელი.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64). კანონმდებლობით დადგენილი წესით

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად თამარ ყორიაული